პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 60 (1074) | კვირა, 19 მაისი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 80 კაპ.

III
ИГРЫ МОЛОДЕЖИ
МОСКВА
1957

◆

მარათონელთა მარშრუტი

4 აგვისტოს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე სტარტი მიეცემა მართონულ რბენას — ახალგაზრდობის III საერთაშორისო თამაშების მძლეოსნური პროგრამის ერთ-ერთ წამყვან სახეობას.

მარათონული რბენის ტრასა სტადიონის დიდი სარბიელიდან მიემართება მდინარე მოსკოვის სანაპიროზე ბოროდინოს ხიდამდე, მე-5 კილომეტრზე იწყება ასმეტრიანი აღმართი. შემდეგ ტრასა გადის დოროგომილოვის დიდ ქუჩაზე. მერვე კილომეტრიდან მოსახვევ პუნქტამდე გზა მიჰყვება მოსკოვ-მინსკის ავტომაგისტრალს. ამ მონაკვეთზე 4 საკმაოდ გრძელი აღმართია. დისტანციის ყველაზე ძნელი ნაწილია 15-დან 17 კილომეტრს შუა. მარათონელებს აქ შეხვდებათ 1.230-მეტრიანი დაღმართი და 1.000-მეტრიანი აღმართი.

ამავე დისტანციაზე მოეწყობა შეჯიბრება 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში. ამისათვის მოსკოვ-მინსკის გზატკეცილს ემატება მხოლოდ 4-კილომეტრიანი მონაკვეთი.

ჟურნალისტთა სახლში

მოსკოვში ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში მოეწყო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI ფესტივალისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია.

პრეს-კონფერენციაზე გამოქვეყნებულ იქნა კომუნიკე და ფესტივალის მოსამზადებელი კომიტეტის ინფორმაციები. აღინიშნა, რომ ფესტივალის იდეა დიდ გამოხმაურებას პოულობს ახალგაზრდობის, სტუდენტებისა და საზოგადოებრიობის ფართო ფენებში. ფესტივალისათვის მზადებას ამჟამად წარმატებით ახორციელებს ასზე მეტი ქვეყანა. 98 ქვეყნიდან უკვე ოფიციალურად არის მიღებული განაცხადი მონაწილეობის მიღებაზე.

კორესპონდენტებმა, რომლებიც ესწრებოდნენ პრეს-კონფერენციას, მოსამზადებელი კომიტეტის წევრებს მიმართეს მთელი რიგი შეკითხვებით. გამოირკვა, რომ წინასწარ მოცემული ცნობებით ფესტივალში მონაწილეობაზე სურვილი გამოაცხადა სხვადასხვა ქვეყნის 2.000-მდე სპორტსმენმა. ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაცია საზღვარგარეთის ქვეყნებიდან იქნება ფრანგული — 350 კაცი.

წერილი კალიფორნიიდან

ამას წინათ III სპორტული საერთაშორისო თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის სახელზე ამერიკის ქალაქ ლოს-ანჟელოსიდან მოვიდა ბარათი. მისი ავტორი იყო მსოფლიოს რეკორდსმენი, XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ბირთვის კვრაში პერი ობრაიენი. აი, რას წერს იგი საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეს:

„ამხანაგო ანდრიანოვ! მადლობის გრძნობით მივიღე თქვენი მოწვევა საბჭოთა კავშირში გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობის შესახებ. მე დავუცდი შემდგომ ინფორმაციებს და გამოვთქვამ იმედს, რომ ჩვენი მთავრობა ნებას მომცემს მონაწილეობა მივიღო ახალგაზრდობის თამაშებში, რომელსაც საბჭოთა და ამერიკელ სპორტსმენთა მეგობრობის საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია, პატივისცემით, თქვენი პერი ობრაიენი. ლოს-ანჟელოსი, კალიფორნია“.

სურათზე: მოსკოვის „სპარტაკისა“ და ცსკ მო-ს ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის მომენტი სსრ კავშირის პირველობაზე.

ხელბურთი

ჩვენს ქვეყანაში ხელბურთს არც თუ ისე პატარა ისტორია აქვს. სპორტის ამ სახეობამ განვითარება დაიწყო 1922 წლიდან. იგი ძალზე გავრცელებული იყო რუსეთისა და უკრაინის ქალაქებში, საბჭოთა არმიაში. ეწყობოდა კალენდარული და ამხანაგური შეხვედრები, რომლებიც მონაწილეთა დიდ რაოდენობას იზიდავდნენ. იგი გავრცელებული იყო აგრეთვე ჩვენს რესპუბლიკაში. შემდეგ, რატომღაც ხელბურთი მიივიწყეს. მხოლოდ უკანასკნელ ორ წელიწადში მიექცა მას ჯეროვანი ყურადღება.

სასიხარულოა, რომ ხელბურთი კვლავ აღორძინდა ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც მისი მძლავრად განვითარებისათვის ყოველგვარი საშუალებაა — შესანიშნავი ახალგაზრდობა, ხელსაყრელი კლიმატური პირობები და სხვ. გასულ წელს თბილისში მოეწყო ხელბურთის მწვრთნელთა სემინარი. სპორტის ამ სახეობის წესებს, ტექნიკას, ტაქტიკას გაეცვნენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები. ამან თავისი ნაყოფი გამოიღო. თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, სამტრედიაში, რუსთავში, ჩოხატაურში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში ჩამოყალიბდა ხელბურთის სექციები.

და აი, საქართველოს დედაქალაქში შეიკრიბნენ უძლიერესი ხელბურთელები, რომლებიც ერთმანეთს ეცილებიან რესპუბლიკის პირველი ჩემპიონის სახელის მოპოვებისათვის. მაგრამ საქართველოს პირველობამ, რომელმაც მონაწილე გუნდების ასე თუ ისე კარგი ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება გვიჩვენა, გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანი მხარეები. პირველობაში მონაწილეობს მხოლოდ 9 კოლექტივი, აქედან 2 თბილისიდანაა. ამასთან, შეჯიბრება ტარდება მხოლოდ ვაჟთა შორის, მაშინ, როცა სპორტის ამ სახეობას წარმატებით შეიძლება დაეუფლონ ქალებიც. ამასთან რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების წევრთა უმრავლესობა შეიძლება ითქვას შემთხვევით მოხვდა ამ კოლექტივებში — ისინი სპორტის სხვადასხვა სახეობათა წარმომადგენლები არიან. მაგალითად, თბილისელთა რიგებში გამოდიან კალათბურთელები, წყალბურთელები. ასეა ქუთაისის, ბათუმის გუნდებშიც. ეს ერთი მხრივ კარგია. სპორტსმენი ინარჩუნებს ფორმას, იუმჯობესებს ფიზიკურ მონაცემებს. მაგრამ საერთო საქმეს ეს ვერ უშველის. ხელბურთელთა ასეთი ჭრელი შემადგენლობა კარგია მხოლოდ მისი განვითარების დასაწყის ეტაპზე.

იმისათვის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ფართო გაქანება ჰპოვოს სპორტის ამ სასარგებლო სახეობამ, წარმატებები მოვიპოვოთ საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებებში, საჭირო იქნება რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მეტი გააკეთონ ხელბურთის დანერგვისათვის ახალგაზრდობის ფართო ფენებში. ჩვენ გვჭირდება ხელბურთელები და არა ხელბურთელ-კალათბურთელები, ხელბურთელ-წყალბურთელები. ხელბურთის განვითარების ამ ეტაპზე ეს დასაშვებია, მაგრამ საჭირო იქნება, როგორც სპორტის სხვა სახეობაში, ისე აქაც მუშაობა დავიწყოთ ნორჩებთან.

ხელბურთის განვითარებისათვის კარგი პირობებია რაიონებში. ეს განსაკუთრებით ითქმის იმ რაიონებზე, სადაც კულტივირებულია ლელობურთი — ჩოხატაურში, ქობულეთში. სამტრედიაში (დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი) ხელბურთის დანერგვისათვის საუკეთესო ბაზა არსებობს, აღნიშნული რაიონების წარმომადგენლები მონაწილეობენ კიდეც მიმდინარე გათამაშებაში, მაგრამ ისინი მაღალი ტექნიკით და სისწრაფით ვერ დაიტრაბახებენ.

რომ უფრო დახელოვნდნენ ხელბურთელები, მწვრთნელები, გაეცნონ თამაშის მოწინავე ხერხებს, ჩვენ გვგონია მწვრთნელთა და მსაჯთა ამას წინათ ჩატარებული სემინარი არავითარ შემთხვევაში საკმარისი არ არის. საჭიროა მოწვეულ სპეციალისტთა მონაწილეობით კიდევ ჩატარდეს ასეთი ღონისძიება, რათა მარტო თბილისში კი არა, რესპუბლიკის რაიონებშიც გვყავდეს მაღალკვალიფიციური მწვრთნელები.

დამთავრდა მშვიდობის ველორბოლა

რაც უფრო დასასრულს უახლოვდებოდა ველორბოლა, მით უფრო სპორტულად დაძაბული ხდებოდა იგი. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მე-8 ეტაპზე წინ იყო დანიის გუნდი, მეცხრეზე — ინგლისი, ხოლო ეტაპების ჯამში ყველაზე წინ იყვნენ პოლონელი ველოსიპედისტები. ასევე იცვლებოდნენ ეტაპებზე გამარჯვებულები. თუ კი მერვე ეტაპზე პირველი იყო ბელგიელი ბუტზენი, მის გვარს ვერ შეხვდებოდით მეცხრე ეტაპის პირველ ექვსეულშიც კი. 9 ეტაპის ჯამში პირველი იყო საბჭოთა სპორტსმენი კაპიტონოვი, მეორე — ბულგარელი ქრისტოვი, რომელიც ლიდერს 75 წამით ჩამორჩებოდა.

უკანასკნელ ეტაპზე ლოძი — ვარშავა საგრძნობლად დაწინაურდნენ კაპიტონოვი, რუმინელი სერბანი, გერმანელი ბრაუნი, იუგოსლავი ცვეჟინი, პოლონელი ვენცკოვსკი და შვედი ბერგვისტი. პოლონეთის დედაქალაქის სტადიონზე პირველი შემოიჭრა ჩერეპოვიჩი (სსრ კავშირი), რომელმაც 140-კილომეტრიანი დისტანცია დაფარა 3 საათში, 12 წუთსა და 54 წამში. მეორე იყო პოლონელი ვენცკოვსკი, რომელსაც ოდნავ ჩამორჩა კაპიტონოვი. უფრო საინტერესო იყო გუნდური პირველობისათვის ბრძოლა. გერმანელი სპორტსმენის შურისა და ბრაუნის შესანიშნავი მომზადების წყალობით გერმანიის გუნდმა საჭირო წუთები „წაართვა“ პოლონელებს და მოიპოვა პირველი ადგილი.

16 მაისს მოეწყო მშვიდობის ველორბოლაში გამარჯვებულთა დაჯილდოება და შეჯიბრების ოფიციალური დახურვა. პირველი ჯილდო — მშვიდობის მსოფლიოს საბჭოს თასი გადაეცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს. პოლონელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს მეორე ჯილდო, ხოლო საბჭოთა გუნდმა — მესამე. სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდა ველორბოლაში მონაწილე ყველა გუნდი. პირად პირველობაში გამარჯვებისათვის პირველი ჯილდო მიიღო ბულგარელმა სპორტსმენმა ქრისტოვმა, მეორე—ინგლისელმა ბრიტენმა, მესამე — საბჭოთა სპორტსმენმა კაპიტონოვმა.

ამას გარდა, საბჭოთა ველოსიპედისტები დაჯილდოვდნენ აგრეთვე სხვადასხვა ეტაპებზე საპრიზო ადგილების მოპოვებისათვის. ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა მიიღეს 40-ზე მეტი ჯილდო.

გამარჯვებულთა დაჯილდოების შემდეგ შედგა მშვიდობის X ველორბოლის დახურვის ოფიციალური ცერემონიალი.

მოსკოვი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ძლეოსანთა შეჯიბრება საზაფხულო სეზონის გახსნის პრიზზე.

400 მეტრზე რბენაში სპორტის ოსტატმა პოლინა ლაზარევამ (ცსკ მო) დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი ქალთა შორის. მისი შედეგია 55,2 წამი.

* * *

სურათზე: პ. ლაზარევა ფინიშთან.

ფოტო ლ. დორენსკისა.

თვალი გადავავლოთ ლისის ტბას

თვალი გადავავლოთ ლისის ტბის მიდამოებს, ვნახოთ როგორ მოამზადეს იგი დამსვენებელთა პირველი ნაკადის მისაღებად, რა გაკეთდა ახალი დოსააფისა და ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს საწყლოსნო ბაზებზე.

წელს თბილისელებს მთლიანად შეცვლილი დახვდებათ პარკი. აქ ბევრი რამ მოეწყო დამსვენებელთა კულტურული მომსახურებისათვის: პარკის მიდამოები განათებული და რადიოფიცირებულია, საფუძვლიანად შეკეთდა პავილიონი და სასაუზმეები, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სასმელი წყლის მილების გაყვანა.

— ჩვენი პარკი ძირითადად მშრომელთა აქტიური დასვენების კერა იქნება, — გვითხრა ფიზკულტურის ინსტრუქტორმა კ. ოთაროვმა, — ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ არსებული სპორტული ბაზების კაპიტალურ შეკეთებას და ახლების მოწყობას. წელს აქ დამსვენებელთა განკარგულებაში იქნება კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ტანვარჯიშული ბაქანი, გაიხსნა ტირი, საკმაო რაოდენობით შევიძინეთ ბურთები, საწონები, ველოსიპედები, მოტოციკლები, მცირეკალიბრიანი შაშხანები და სხვა ინვენტარი. გადაწყვეტილი გვაქვს ჩამოვაყალიბოთ მოტო, ველო და სროლის წრეები. სპეციალური ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით დამსვენებლები დაეუფლებიან მათთვის სასურველ სახეობას.

აღნიშნულის გარდა პარკის განკარგულებაშია 27 ნიჩბიანი და 2 მოტორიანი ნავი. როგორც ვხედავთ თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ პარკის დირექციას ბევრი რამ მაინც გამორჩენია მხედველობიდან. ლისის ტბა საწყლოსნო სპორტის განვითარების საუკეთესო ბაზაა. დამსვენებლები ხშირად აწყობენ შეჯიბრებებს ცურვასა და წყალბურთში, თვითონ არიან მონაწილენი და მსაჯებიც. კარგი იქნებოდა თუ პარკის დირექცია ორგანიზაციას გაუკეთებდა მათ მისწრაფებას, მოაწყობდა მეცადინეობას საწყლოსნო სპორტის სახეობებში.

ახალი სეზონის წარმატებით შესახვედრად სათანადო მუშაობა ჩაუტარებიათ ლისის ტბაზე მდებარე დოსააფის მაშველი სადგურის მუშაკებს. მათ განკარგულებაშია რამდენიმე კატერი და ნიჩბიანი ნავი, აუზი მოცურავეებისათვის, ტრამპლინი და კოშკი წყალში მხტომელებისათვის. მიმდინარე წელს აქ რეგულარულად იმუშავებს წრეები საწყლოსნო სპორტის მოყვარულებისათვის, მოეწყობა ლექციები. თუმცა არის ნაკლიც: ტბის დონის აწევის გამო კარგა ხანია წყალშია სახტომ კოშკურამდე მისასვლელი ბილიკი, ფიცარი ლპება, საჭიროა სათანადო ზომების მიღება.

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტსმენებს შესანიშნავი საწყლოსნო სადგური ჰქონდათ, რომელიც ერთ დროს ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა მუშა-მოსამსახურეთა შორის ცურვის, წყალში ხტომისა და ნიჩბოსნობის განვითარებისათვის. ყოველივე ეს წარსულს ჩაბარდა. გასულ წელს აქ ყოველგვარი საქმიანობა შეწყდა, უპატრონოდ მიატოვეს ნავები, შესანიშნავი წყალში სახტომი კოშკი. ინვენტარი დაზიანდა, ნაწილი წყალმა დაფარა...

ლისის ტბაზე უკვე გაიხსნა საზაფხულო სეზონი. ტრამვაი-ტროლეიბუსის ბაზაზე კი ახლა დაიწყეს შენობის რემონტი, რომელიც იმდენად ნელი ტემპით მიმდინარეობს, რომ საეჭვოა მისი უახლოეს პერიოდში დამთავრება.

ისიც კმარა, რომ ტრამვაელთა საწყლოსნო სადგური გასულ წელს უქმად იყო. მიმდინარე სეზონში ეს არ უნდა განმეორდეს. ლისის ტბა თბილისელ მოქალაქეთა საყვარელი ადგილია. ამიტომ იგი ყოველმხრივ სანიმუშოდ უნდა მოეწყოს.

ო. ივდოშვილი

* * *

სურათებზე: მარცხნიდან— დოსააფის სადგურზე აკრავენ აბრას. ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ნავები, როგორც ხედავთ, ზოგი წყალში ჩაძირულა და ზოგი კი ხმელეთზე უპატრონოდ ყრია.

კეთილი ინებოს ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ძირეულმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა და ჯეროვნად მოუაროს ბაზას და ინვენტარს.

დაცვის სისტემები ფრენბურთში

ტაქტიკური სისტემები ფრენბურთის დაცვაში ხასიათდება წინა და უკანა ხაზების მოთამაშეთა განლაგებით და ურთიერთმოქმედებით მოწინააღმდეგე გუნდის შეტევის მოქმედებათა მომენტში.

ფრენბურთის თამაშში ამჟამად გამოყენებულია დაცვის ორი ტაქტიკური სისტემა. პრინციპული განსხვავება ამ სისტემათა შორის მდგომარეობს დაცვის მოთამაშეთა შემცირებასა ან გაზრდაში უკანა და წინა ხაზებზე. ურთიერთდაზღვევის გაძლიერება წინა ან უკანა ხაზზე ხორციელდება „6“ ზონის მოთამაშის წინ ან უკან გადანაცვლების ხარჯზე.

მთელ რიგ გუნდებში (მაგალითად, თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბისა და ლენინგრადის ვაჟთა გუნდები) სამი მცველის სისტემის გამოყენებისას საჭიროების შემთხვევაში დაზღვევაზე გამოდიან „1“ და „5“ ზონის მოთამაშეები, ხოლო „6“ ზონის მოთამაშე ყოველთვის რჩება თავის ადგილზე. „1“ და „5“ ზონების მოთამაშეთა გამოსვლა დაზღვევაზე ხორციელდება არა წინასწარ, არამედ შეტევის მომენტში.

თამაშის ტაქტიკურმა სისტემებმა დაცვაში კი არ უნდა შეზღუდონ მოთამაშეთა შემოქმედებითი ინიციატივა შეჯიბრების მსვლელობაში, არამედ, პირიქით, ხელი უნდა შეუწყონ მას.

ადგილის ამორჩევა დაცვის ამა თუ იმ სისტემაზე გადასვლისას ხორციელდება საერთო დაკვირვებათა და მოთამაშეთა გამოცდილების საფუძველზე, მოედანზე შექმნილი კონკრეტული მდგომარეობის შესაბამისად. მაგალითად, დამცველი გუნდი უპირატესად იყენებს ორ მცველს. ამასთან, ბურთები მოწინააღმდეგე გუნდის ერთ-ერთი მოთამაშის თავდამსხმელის დარტყმიდან სისტემატურად მიდის მბლოკირებელთა ხელებს ზევით და ეცემა მოედნის შუაგულში, „6“ ზონის პირითი ხაზის მახლობლად. ამ შემთხვევაში „6“ ზონის მოთამაშის გადაწყვეტილება უკანა ხაზის დაცვაში მონაწილეობის მისაღებად იქნება სწორედ ასეთი შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლინება.

თუ მოწინააღმდეგე ხშირად მიმართავს ცრუ დარტყმებს წინა ხაზზე, საჭიროა სამი მცველის სისტემიდან სწრაფი გადასვლა ორი მცველის სისტემაზე, რითაც იზრდება დამხლევ მოთამაშეთა რიცხვი წინა ხაზზე.

ორი მცველის სისტემა. ამგვარად, ორი მცველის სისტემა უკანა ხაზზე ერთ-ერთ თავის მთავარ ამოცანად ისახავს დაზღვევის გაძლიერებას წინა ხაზზე. ამ მიზნით „6“ ზონის მოთამაშე განუწყვეტლივ მოძრაობს, ყოველთვის იმყოფება მოწინააღმდეგის შეტევათა ზონაში და მზად არის მიიღოს ბურთი ბლოკის ან ცრუ დარტყმის შემდეგ. გარდა ამისა, დაზღვევის ხარისხის გაუმჯობესება ხდება წინა ხაზის ერთ-ერთი მოთამაშის მოქმედებათა შედეგადაც, რომელიც არ მონაწილეობს ბლოკში (ჩვეულებრივ „2“ ან „4“ ზონის მოთამაშე).

ორი მცველის სისტემის გამოყენება მთლიანად გამართლებულია თუ გუნდი კარგად ფლობს ბლოკს და შეუძლია გააქარწყლოს მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეთა ძლიერი თავდამსხმელი დარტყმები. ამასთან, ბურთების დიდი რაოდენობა, რომლებიც უკუგდებულია ბლოკის მოთამაშეთა ხელებიდან, რჩება სამმეტრიანი ხაზის ფარგლებში და მათ ღებულობენ დამზღვევი მოთამაშეები.

სამი მცველის სისტემა. სამი მცველის სისტემის ძირითად მიზანს წარმოადგენს დაცვის უკანა ხაზის გაძლიერება. ზონის უკანა ხაზის მცველთა გაზრდის საშუალებით მნიშვნელოვნად მცირდება ყოველი მოთამაშის პასუხისმგებლობა, რის შედეგადაც ძლიერდება დაცვის უნარიანობა უკანა ხაზზე.

ფრენბურთის განვითარებასთან და განსაკუთრებით თავდამსხმელ დარტყმათა ძალის მომენტებთან დაკავშირებით ბევრი გუნდი ჯერ ეპიზოდურად, ხოლო შემდგომში უფრო გარკვეულად იყენებდა სამი მცველის სისტემას.

სამი მცველის სისტემა განსაკუთრებით დადებით შედეგებს აღწევს თავდამსხმელ მოთამაშეთა შეტევებისას, რომლებსაც უნარი აქვთ შეასრულონ დარტყმები ბადის ზედა კიდეზე მნიშვნელოვნად მაღლიდან, ბლოკის ზევიდან, ან ბადიდან დიდი დაცილებით ბლოკის გარეშე.

აუცილებელ პირობას ამ სისტემის გამოყენებისას წარმოადგენს „6“ ზონის მოთამაშის მდებარეობა პირით ხაზთან ახლოს. იმ შემთხვევაში თუ „6“ ზონის მოთამაშე გამოვა რამდენადმე წინ ბადესთან, იგი ხელს შეუშლის „1“ და „5“ ზონების მოთამაშეებს.

სამი მცველის სისტემის უარყოფით მხარეს წარმოადგენს არასაკმარისი ურთიერთდაზღვევა, ვინაიდან მასში, როგორც წესი, მონაწილეობს წინა ხაზის მხოლოდ ერთი მოთამაშე, რომელიც არ აკეთებს ბლოკს.

ერთმანეთისაგან დიდი დაცილების გამო უკანა ხაზის მცველები ხშირად ვერ ასწრებენ გადანაცვლებას წინა ხაზის ზონების დაზღვევისათვის.

უკანა ხაზის მოთამაშეებმა წვრთნის პროცესში მაქსიმალურად უნდა სრულჰყონ სწრაფი გადანაცვლებანი დაზღვევისათვის, ამასთან გადანაცვლება უნდა შესრულდეს მცველის საწყისი მდგომარეობიდან.

ა. იაკუშევი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ა. ივოილოვი,
სპორტის ოსტატი.

დღეს იწყება...

საქართველოს პირველობა ავტორბოლაში 1000 კილომეტრზე. შეჯიბრებაში, რომელიც ვაზიანის მიდამოებში ჩატარდება, მონაწილეობენ „პობედის“ ტიპის მანქანები. თვითეულ გუნდში გამოდის სამი ავტომანქანა. ჩათვლაში შევა ორი საუკეთესო შედეგი. ყოველი მანქანის ეკიპაჟი შედგება მძღოლისა და მექანიკოსისაგან.

შეჯიბრების მონაწილეებმა 16-ჯერ უნდა გაიარონ 12,5-კილომეტრიანი წრე. იმ გუნდებსა და სპორტსმენებს, რომლებიც შეჯიბრებაზე აჩვენებენ საუკეთესო შედეგებს, გადაეცემათ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი ჯილდო და დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

შეჯიბრებაში გამოვლენილი საუკეთესო სპორტსმენებისაგან დაკომპლექტდება რესპუბლიკური ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო ჩემპიონატში.

პირველობის მთავარი მსაჯია საქართველოს ავტოტრანსპორტის მინისტრი ტ. დავითაშვილი.

კვირას თბილისის ლენინის სახელობის მოედნიდან ვაზიანამდე ივლიან სპეციალური ავტობუსები.

დღეს იწყება...

„შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს მეათე ტრადიციული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა, ველოსპორტი, ქართული, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი.

შეჯიბრების მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში გამოდიან სახელოსნო სასწავლებლების, სარკინიგზო, სამთო სასწავლებლების, ტექნიკური სასწავლებლების, ინდუსტრიული ტექნიკუმის, № 11 სამხატვრო სასწავლებლის კოლექტივები. მეორე ჯგუფში — სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სხვა კოლექტივები.

შეხვედრები ჩატარდება „შრომითი რეზერვების“ სტადიონზე, ლენინის რაიონში.

* * *

დღეს რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართება წყალსაცავის საზეიმო გახსნისადმი მიძღვნილი დიდი სახალხო სეირნობა.

წყალსაცავის გახსნისადმი მიძღვნილ საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ადგილობრივი, ისე რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენები. მოეწყობა შეხვედრები ცურვაში, ნიჩბოსნობასა და წყალბურთში.

პიონერთა საქალაქო ფესტივალი

5 მაისს ამანათრბენით გაიხსნა პიონერთა საქალაქო ფესტივალი, რომლის საზეიმო დახურვა მოხდა გასულ კვირას. ფესტივალის დღეებში პიონერთა საყვარელ პარკში საფუძველი ჩაეყარა გმირი ქართველი ქალიშვილის ზოია რუხაძის ძეგლს.

ათასობით პიონერი წარმატებით იცავდა თავიანთი სკოლის სპორტულ ღირსებას. ამანათრბენში გამარჯვებული სტალინის რაიონის გუნდი მძლეოსნობაში მხოლოდ მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა. პირველობა მოიპოვა 26 კომისრის რაიონის გუნდმა. სტალინის რაიონი უძლიერესი აღმოჩნდა სპორტულ ტანვარჯიშში, თუმცა პირად პირველობაში ფესტივალის ჩემპიონობა სხვა რაიონის წარმომადგენლებმა მოიპოვეს — გოგონათა შორის გაიმარჯვა 69-ე სკოლის მოსწავლე ლ. ჩივაძემ (კიროვის რაიონი), ხოლო ჭაბუკებში — 55-ე სკოლის წარმომადგენელმა ს. სხირტლაძემ (ორჯონიკიძის რაიონი).

ჭადრაკში უძლიერესი იყო კალინინის რაიონის პიონერთა კოლექტივი, რომლის წარმომადგენელმა ნ. ჯანგველაძემ (42-ე სკოლა) ყველაზე კარგად ითამაშა გოგონათა შორის და მოიპოვა ფესტივალის ჩემპიონობა. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო 66-ე სკოლის მოსწავლე რ. ჯინჯიხაშვილი (კიროვის რაიონი). კალათბურთში ყველას აჯობეს ორჯონიკიძის რაიონის გოგონათა და კალინინის რაიონის ვაჟთა გუნდებმა. ფრენბურთში კარგად ჩაატარა შეხვედრები ლენინის რაიონის ვაჟთა გუნდმა, შედარებით სუსტი იყო გოგონათა გუნდი, რომელიც მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა. პირველი ადგილი წილად ხვდა ორჯონიკიძის რაიონის გოგონათა გუნდს.

გ. სამსონაძე

მესამე ადგილზე

ხარკოვში ჩატარდა „პიშჩევიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ძალოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ უკრაინის, ბელორუსიის, თურქმენეთის, საქართველოსა და სხვა რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

ორდღიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა თურქმენეთის ნაკრებმა. მეორე ადგილი წილად ხვდა უკრაინას, ხოლო მესამე—საქართველოს ძალოსანთა ნაკრებ კოლექტივს. ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ აპელბოიმი (მოლდავეთი), ფერაძე (საქართველო), პროინოვი (მოლდავეთი), ავანესოვი (თურქმენეთი), რაღიმაშვილი (საქართველო), გრუდსკი და ველკოვიჩი (ორივე თურქმენეთიდან);

ს. ბოჭორიშვილი

ამხანაგური შეხვედრა

ამას წინათ ფეხბურთში გაიმართა მატჩი ცეკავშირის სამმართველოს და უნივერსალური ბაზის გუნდებს შორის.

ამ შეხვედრაში დამახასიათებელი და საინტერესო იყო ის, რომ მონაწილეთა უმრავლესობა საკმაოდ ასაკგადაცილებული სპორტის მოყვარულები იყვნენ. მონაწილეთა შორის გამოდიოდნენ ცეკავშირის სამშენებლო სამმართველოს უფროსი დ. ორაგველიძე, სატრანსპორტო განყოფილების უფროსი თ. ხოსიტაშვილი, უნივერსალური ბაზის მუშაკი დ. შავდია, ცნობილი ფეხბურთელები სპორტის ოსტატები ს. ჯეჯელავა, ი. სომოვი და სხვ.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 6:2 სამმართველოს გუნდის სასარგებლოდ.

ა. ჯინჭარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა მწვავდება

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა რესპუბლიკური ჩემპიონატი

ჩემპიონატს ერთი თავისებურება დაჩემდა. თამაშის დაწყებიდან მე-3- საათზე პარტიების უმრავლესობა უკვე დამთავრებულია, დაძაბული ბრძოლა არ ცხრება მხოლოდ იმ შეხვედრებში, სადაც ლიდერობის ბედი წყდება. ასე მოხდა VIII ტურშიც. მაყურებლებმა, რომლებიც თამაშზე ჩვეულებრივ ცაიტნოტის მოახლოვებასთან ერთად მოდიან, ვერ მოუსწრეს კაკაბაძე-ტომილინას, გოგიავა-ფანქველაშვილისა და გურფინკელ-სტატნიკოვას პარტიებს, რომლებშიც თეთრებმა მოწინააღმდეგეებს „სულიც არ მოათქმევინეს“, ისე დააყრევინეს ფარხმალი.

ნელა ღვივდებოდა ბრძოლა გაფრინდაშვილ-ჩაიკოვსკაია და ბუცხრიკიძე-ტოგონიძის პარტიებში. უცებ დარბაზი ყრუდ ახმაურდა. ყველა ბუცხრიკიძე-ტოგონიძის პარტიის სადემონსტრაციო დაფისაკენ იყურებოდა. დაფასთან მდგარი ნორჩი დემონსტრატორი მესამე თანრიგოსანი მოჭადრაკე ოთარ სირბილაძე გაკვირვებული უცქეროდა სადემონსტრაციო დაფას, სადაც მან ბუცხრიკიძის უკანასკნელი სვლა გააკეთა. შეამოწმა სვლის სისწორეც. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მას მაინც ვერ გაეგო, ისე როგორც მაყურებლებს, თუ რატომ დატოვა ქუთაისელმა მხედარი დაუცველად. როდესაც სადემონსტრაციო საათზე ისარი ამოძრავდა, ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ბუცხრიკიძე ცაიტნოტში იმყოფებოდა, სადაც ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ტოგონიძემ, რომელსაც ამ დროს პარტია უკვე წაგებული ჰქონდა, ხანმოკლე მოფიქრების შემდეგ აიღო „ნაჩუქარი“. ახლა პარტია გადადებულია. წაგების საფრთხის წინაშე უკვე ბუცხრიკიძეა.

ამ პარტიის პერიპეტიებმა ცოტა ხნით შეანელეს გულშემატკივართა ყურადღება გაფრინდაშვილის პარტიისადმი, რომელშიც „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლა იყო გაჩაღებული. მაგრამ ამასობაში აქ არ მომხდარა რაიმე არსებითი. უკეთესი პოზიცია ისევ ჩაიკოვსკაიას ჰქონდა, რომელმაც იგი დებიუტშივე მოიპოვა. ორიოდე სიტყვა ამ პარტიაში გათამაშებული დებიუტის შესახებ. ფრანგული დაცვა რთული დასაწყისია. ის ვარიანტი, რომელიც გაფრინდაშვილმა გაითამაშა, ჯერ კიდევ 33 წლის წინათ იყო ცნობილი. იგი პირველად ლასკერმა ნიუ-იორკის საერთაშორისო ტურნირზე გამოიყენა და უარესი თამაშიც მიიღო. შემდგომ საბჭოთა ოსტატმა ვ. რაუზერმა თეთრების თამაში საგრძნობლად გააუმჯობესა, რის შემდეგ არავის აქვს ხალისი შავებით ითამაშოს ეს ვარიანტი. გაფრინდაშვილმა ალბათ არ იცოდა რაუზერის ვარიანტი და ამიტომ ცუდი მდგომარეობა მიიღო.

ცაიტნოტის მოახლოებასთან ერთად პოზიცია ძალზე გართულდა. მიუხედავად ამისა, გაფრინდაშვილი აუღელვებლად, საზრიანად უქმნიდა ბათუმელს სიძნელეებს. მდგომარეობა უნდა გარკვეულიყო.. ამ დროს მოულოდნელი შედეგით დამთავრდა როოტარე-ნაჭყებიას პარტია. სრულიად საყაიმო პოზიციაში თბილისელმა დაუფიქრებლად გასწია პაიკი და პარტია წააგო.

ამასობაში გაფრინდაშვილმა ლაზიერის ფრთის ერთადერთი პაიკის მოგებით მეფეზე ძლიერი შეტევა განავითარა. მძლავრი დარტყმებით მან საშამათო ქსელში მოაქცია ჩაიკოვსკაიას მეფე და გაიმარჯვა. ამაზე ცოტათი ადრე ხაჭაპურიძემ მოუგო ივანოვას.

გადადებული პარტიების დღეს რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში. ორ შეხვედრაში შედეგი უთამაშებლად იქნა ფიქსირებული. კაკაბაძე და გაფრინდაშვილი თავიანთ დაუმთავრებელ პარტიაში ყაიმზე შეთანხმდნენ, ხოლო ბუცხრიკიძემ ზედმეტად ჩათვალა ხაჭაპურიძესთან წინააღმდეგობა და დანებდა. მეორე გადადებულ პარტიაში ხაჭაპურიძემ დაამარცხა სტატნიკოვა. ბელოზოროვას შეხვედრა ჩაიკოვსკაიასთან ყაიმით დამთავრდა.

VII ტურიდან გამოტოვებულ ტოგონიძე-გოგიავას პარტიაში ტოგონიძემ ვერ გამოიყენა დებიუტში მოპოვებული უპირატესობა, ხოლო ენდშპილში არასწორი თამაშით გოგიავას პაიკი ლაზიერად გააყვანინა.

* * *

უკანასკნელ შეხვედრებში შესამჩნევად დაწინაურდა ხაჭაპურიძე, რომელმაც IX ტურში საუცხოოდ ითამაშა ბელოზოროვას წინააღმდეგ. ფრანგული დაცვიდან მან ცენტრში მხედრისათვის დასაყრდენი უჯრა მიიღო. ამიტომ მეთოდურად გაცვალა ლაზიერები, ეტლები, შავების მხედრები და მეტოქის კუს წინააღმდეგ მხოლოდ მხედარი დატოვა. ამან განაპირობა ხაჭაპურიძის პოზიციური უპირატესობა, რომელიც ნიჭიერმა მოჭადრაკემ ტექნიკურად ზუსტად გამოიყენა. 45-ე სვლაზე, როდესაც მისი პაიკი ლაზიერად გავიდა, ბელოზოროვა დანებდა. ეს ხაჭაპურიძის ზედიზედ მეხუთე გამარჯვებაა, ახლა იგი ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია.

მოულოდნელობით აღინიშნა ლოლიშვილი — გაფრინდაშვილისა და ნაჭყებია — გოგიავას პარტიები. გაფრინდაშვილმა დებიუტში პაიკი მოიგო და საქმე მხოლოდ მის რეალიზაციაში იყო. მაგრამ ჩემპიონმა უმიზნო მანევრებზე ბევრი დრო დაკარგა, რის გამოც იძულებული გახდა პაიკი უკან დაებრუნებინა. უკეთეს პოზიციაში ლოლიშვილმა ხარისხი შეწირა. პარტია გადადეს ჩემპიონისათვის ძნელ მდგომარეობაში. გოგიავამ მოხდენილი კომბინაციით სავსებით მოსალოდნელი ენდშპილში მიიღო ნაჭყებიას წინააღმდეგ, მაგრამ... პარტია წააგო.

ჩაიკოვსკაია, რომელმაც 22 სვლაში ტომილინა დაამარცხა, თეორიაში საუცხოოდაა მომზადებული. მისი პარტიები თავისით აწყობილი, ლოგიკური თამაშით უეჭველად ყურადღებას იმსახურებს.

გურფინკელს გაუძნელდა ივანოვას წინააღმდეგობის დაძლევა. მხოლოდ ენდშპილში გამომჟღავნდა ოსტატის გამოცდილება, სადაც მან ივანოვას წინაშე რთული პრობლემები წამოიჭრა. ბათუმელი მოჭადრაკე ვერ გაერკვა პოზიციაში და შეცდომით გაცვალა ეტლი, რის შემდეგ დაუსუსტდა ლაზიერის ფრთის პაიკი. ოსტატმა მეორე ეტლით მოიგო იგი, ხოლო შემდეგ მეშვიდე ჰორიზონტალზე შეიჭრა. ივანოვამ თუმცა შეძლო სახიფათო ეტლის გაცვლა, მაგრამ დარჩენილი მხედრით ვერ დაეწია გურფინკელის გამსვლელ პაიკს. 48-ე სვლაზე ივანოვა დანებდა.

ამაღელვებელი მომენტების გარეშე მიმდინარეობდა კაკაბაძე-როოტარეს შეხვედრა, რომელიც დამთავრდა მშვიდობიანი ზავით. ტოგონიძე-სტატნიკოვას პარტია არ დამთავრებულა, ხოლო ფანქველაშვილ-ბუცხრიკიძის პარტია არ გათამაშდა.

ახლა, როდესაც ჩემპიონატში დაიწყო ფინიშისწინა ბრძოლები, წინ არიან: ი. გურფინკელი (8,5 ქულა), ნ. გაფრინდაშვილი (6,5 და ერთი გადადებული პარტია), ე. კაკაბაძე და ლ. ხაჭაპურიძე (6,5 ქულა თვითეულს), ს. როოტარე და ა. ჩაიკოვსკაია (5,5 ქულა თვითეულს), გ. ბუცხრიკიძე (4,5 და ორი გადადებული პარტია).

თ. გიორგაძე



სამი მოძმე რესპუბლიკის — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მძლეოსანთა მატჩი. სპორტული სიარული 20 კილომეტრზე. მარცხნიდან — ვ. არზუმანიანი, ი. როსტოვი (ორივე სომხეთიდან), ა. მჭედლიშვილი და ა.შჩერბინა (ორივე საქართველოდან) დისტანციაზე.

სამი მოძმე რესპუბლიკის — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მძლეოსანთა მატჩი. ლ. გურგენიძე სარეკორდო ნახტომის დროს. შ. ჩადუნელი (მარჯვნივ) ტყორცნის ბადროს.

ფოტო ა. ტარასევიჩისა.

მათი პროტესტი

დასავლეთ გერმანიის 18 მეცნიერის პროტესტმა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ატომური იარაღის ბაზად გადაქცევის წინააღმდეგ, ფართო გამოხმაურება ჰპოვა გერმანელ სპორტსმენთა შორის. ამასთან დაკავშირებით მშვიდობის X ველორბოლაში მონაწილე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წევრებმა გააკეთეს სპეციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„ჩვენ არ გვსურს ომი. ჩვენ გვიყვარს შემოქმედებითი ცხოვრება და ვიბრძვით ხალხთა შორის მშვიდობისათვის. მთელს ძალებს წარვმართავთ იქითკენ, რათა წინ აღვუდგეთ მშვიდობიანი ცხოვრების მტრებს, მათ, რომლებსაც სურთ ჩვენი სამშობლო გადააქციონ გაპარტახებულ უდაბნოთ. ამიტომ ვთხოვთ ჩვენს საბჭოთა, ჩეხოსლოვაკელ, ფრანგ, ბულგარელ, დანიელ, შვედ, ინგლისელ, ეგვიპტელ მეგობრებს, რათა ისინი თავიანთ სამშობლოში შეუერთდნენ ატომური იარაღის აკრძალვის მომხრეთა მრავალმილიონიან არმიას“.

ხელბურთი

„ბურევესტნიკის“ სტადიონის ტრიბუნებზე მრავალრიცხოვანი მაყურებლის თანდასწრებით გაიხსნა პირველი რესპუბლიკური ჩემპიონატი ხელბურთში. პარადში მონაწილეობის მისაღებად სტადიონზე თავი მოიყარეს თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის, დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, ფოთის, რუსთავისა და ჩოხატაურის ვაჟთა გუნდებმა. საქართველოს ხელბურთელთა პირველი ჩემპიონატის მონაწილეებს მიესალმა ხელბურთის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე, გათამაშების მთავარი მსაჯი გ. შარაშიძე.

კენჭისყრის შემდეგ პირველ ჯგუფში მოხვდნენ: „ბურევესტნიკის“, ჩოხატაურის, აჭარის, ქუთაისისა და დიდი ჯიხაიშის ხელბურთელები. მეორე ჯგუფში თამაშობენ: ფიზკულტურის ინსტიტუტის, აფხაზეთის, რუსთავისა და ფოთის კოლექტივები. ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ფინალში, სადაც გამოვლინდება პირველი ჩემპიონი.

დღეს „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება მორიგი კალენდარული მატჩები. ითამაშებენ ჩოხატაურისა და ქუთაისის, „ბურევესტნიკისა“ და აჭარის კოლექტივები. ხვალ მოედანზე გამოვლენ დიდი ჯიხაიში-ჩოხატაური, ქუთაისი-„ბურევესტნიკი“.

გათამაშების პირველი ტური

რესპუბლიკური ჩემპიონატის გახსნა წილად ხვდათ რუსთავისა და აფხაზეთის (გალის რაიონი) ხელბურთელებს. ერთხანს ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო უპირატესობის მოპოვება, მაგრამ შემდეგში თავი იჩინა რუსთაველთა ტექნიკურმა სისუსტემ, ისინი მოწინააღმდეგის კარზე იერიშის დროს დიდხანს ათამაშებდნენ ბურთს, რის გამო გადამწყვეტ ფაზაში კარგავდნენ მას. აფხაზეთის წარმომადგენლებმა თამაში ააგეს პრინციპით ერთი—ერთზე. მათ შეტევებს თანდათან კომბინაციური ხასიათი მისცეს და ტემპსაც მოუმატეს, პირველ ტაიმში აფხაზეთის წარმომადგენლებმა ორი ბურთი გაიტანეს.

შეხვედრის მეორე ნახევარში რუსთავის გუნდმა ოდნავ გამოასწორა თამაში და მოწინააღმდეგის კარში ორი ბურთი გაიტანა. მაგრამ, სამაგიეროდ, თავისაში სამი მიიღო. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 5:2 აფხაზეთის გუნდის სასარგებლოდ.

* * *

როცა დაიწყო თბილისის „ბურევესტნიკისა“ და დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გუნდების თამაში, ყველამ შეატყო რომ ჯიხაიშელები ტექნიკურად კარგად არიან მომზადებული, კარგად ფლობენ ბურთის ტარებისა და გადამწყვეტი ტყორცნის ხერხებს, მაგრამ პარტნიორთა უყურადღებობით თამაშიდან გამოთიშული იყო ძლიერი მტყორცნელი ჰეიშვილი, რაც თბილისელებს საგრძნობლად უადვილებდა საკუთარი კარის დაცვას.

თბილისელთა ერთ-ერთი შეტევის შემდეგ კოზაშვილმა პირველი ბურთი მოათავსა სტუმრების ბადეში. მალე ბაგრატიონმა მეორედ აიძულა მოწინააღმდეგის მეკარე ბურთი გამოეტანა ბადიდან.

ჯიხაიშელმა ხელბურთელებმა საპასუხო კომბინაცია წამოიწყეს მარჯვენა ფლანგზე, რომელიც ნიკურაძემ გოლით დაამთავრა — 1:2. მალე უხეში თამაშისათვის თბილისელები ორჯერ ზედიზედ დაჯარიმდნენ 14-მეტრიანი ტყორცნით. მაგრამ სტუმრებმა ორჯერვე ვერ გამოიყენეს ანგარიშის გათანაბრების აშკარა შესაძლებლობა.

მალე თბილისელები მთლიანად დაეუფლნენ მოედანს და მოწინააღმდეგის კარში კიდევ ხუთი ბურთი გაიტანეს, რასაც ჰეიშვილმა 14-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნის შემდეგ ერთი ბურთით უპასუხა. პირველი ნახევრის დამთავრებამდე ანგარიში გახდა 8:1 თბილისელთა სასარგებლოდ. მეორე ნახევარშიც აშკარა იყო თბილისელთა უპირატესობა. შეხვედრა დამთავრდა მათი გამარჯვებით — 15:6.

* * *

თბილისელ მაყურებლებს ალბათ კარგად ახსოვთ ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის ამხანაგური მატჩი ვორონეჟელ ხელბურთელებთან, რომელიც მასპინძლების გამარჯვებით — 11:4 დამთავრდა. ამიტომ ეჭვი არავის ეპარებოდა მათ გამარჯვებაში ფოთის გუნდთან.

მასპინძელთა გაშლილ იერიშებს ფოთელებმა ზონალური დაცვა დაუპირისპირეს, რაც შედეგიანია როცა მოწინააღმდეგე გუნდს არ ჰყავს შორს მსროლელი თავდამსხმელები. ასეთები კი თბილისელთა რიგებში საკმარისად იყო.

ამ მატჩში ფოთელთა მიერ გატანილი ოთხი ბურთიდან სამი მცველებს

(დასასრული იხ. მე-4 გვ.).

ხელბურთი

(დასასრული)

ეკუთვნით. (ორი გაიტანა ცენტრალურმა მცველმა ჭედიამ, ერთი საქართველოს რეკორდსმენმა 10 კმ სპორტულ სიარულში ა. შჩერბინამ).

ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 16:4.

• • •

საინტერესო გამოდგა პირველი დღის დასკვნითი მატჩი ქუთაისისა და აჭარის გუნდებს შორის. ჩემპიონატისათვის კარგად მომზადებულან აჭარელი სპორტსმენები, რასაც ვერ ვიტყვით მათ მოწინააღმდეგეებზე.

მატჩი დაიწყო ქუთაისელთა კოლექტიური შეტევით, მაგრამ მეკარე მაჭავარიანმა შესანიშნავი ნახტომით შეძლო ძნელი ბურთის მოგერიება. მე-5 წუთზე ტონიას ზუსტი ტყორცნის შემდეგ ანგარიში გახდა 1:0, რასაც ზედიზედ მოჰყვა ოჩინიკოვის ორი ბურთი. არ გასულა დიდი დრო და თხილაიშვილმა და ოჩინიკოვმა კიდევ თითო ბურთი გაიტანეს, რასაც უკანასკნელ წუთებში ერთი ბურთით უპასუხა ზაალიშვილმა. მატჩის საბოლოო შედეგია 9:2 ბათუმის გუნდის სასარგებლოდ.

გათამაშების მეორე ტური

ჩოხატაურის ხელბურთელები, რომლებიც წინა დღეს ისვენებდნენ, შეხვდნენ „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებს. ყველა ფიქრობდა, რომ საუკეთესო ლელობურთელები კარგად იქნებოდნენ დაუფლებული ხელბურთის თამაშსაც და მაყურებელს აჩვენებდნენ გააზრებულ კომბინაციებს, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

მატჩი დაიწყო თბილისელთა იერიშებით და მეოთხე წუთზე ანგარიშიც გაიხსნა, რასაც შემდეგში მოჰყვა კვირიასა და არუთინოვის ორი ბურთი. პირველი ნახევრის დარჩენილ დროში ბურევესტნიკელებმა კიდევ ხუთი ბურთით გაზარდეს ანგარიში.

მეორე ნახევრის დასაწყისში თბილისელმა ბაგრატიონმა მეცხრე ბურთი გაიტანა. 22-ე წუთზე, როცა ანგარიში იყო 14:0 ჩოხატაურელთა მარჯვენა გარემარბმა ჯინჭარაძემ შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა. ეს იყო მათი პირველი და უკანასკნელი წარმატება. შემდგომში ჩოხატაურელებს ჰქონდათ კიდევ ერთი ბურთის გატანის საშუალება, მაგრამ ბერძენიშვილმა ვერ გამოიყენა 14-მეტრიანი საჯარიმო.

შეხვედრა დამთავრდა სარეკორდო ანგარიშით — 17:1.

ფოთისა და რუსთავის გუნდების შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 2:2. მეორე ნახევარში უპირატესობა ხელთ იგდეს ფოთელებმა. გოგიჩაიშვილმა, გუჯაბიძემ და ზუკიამ გაიტანეს ორ-ორი ბურთი, რასაც რუსთაველმა პოგიბლევმა ერთი ბურთით უპასუხა. მატჩის ანგარიშია 8:3 ფოთის სასარგებლოდ.

• • •

ქუთაისთან გამარჯვების შემდეგ აჭარელმა სპორტსმენებმა მატჩი ჩაატარეს დიდი ჯიხაიშის გუნდთან. ჯიხაიშელები ბევრს ცდილობდნენ მოეპოვებინათ წარმატება, მაგრამ ვერ შეძლეს აჭარელთა წინააღმდეგობის გატეხა. მალე ბათუმელმა კაკაბაძემ საპასუხო იერიში გოლით დაამთავრა. რამდენიმე წუთის შემდეგ მან ანგარიში ორამდე გაზარდა, რასაც მოჰყვა მესამე ბურთი ჯიხაიშელთა კარში. 21-ე წუთზე ჯიხაიშელმა ჭეიშვილმა პირველად შეარხია ბათუმელთა კარის ბადე... გუნდები შესვენებაზე წავიდნენ ანგარიშით 5:1.

თამაშის განახლებისას ჯიხაიშელები ერთხანს წარმატებით იცავდნენ თავს და რამდენჯერმე გარღვევაზეც გავიდნენ, მაგრამ ინიციატივამ კვლავ ბათუმელთა მხარეს გადაინაცვლა. მატჩის 35-ე და 36-ე წუთებზე თხილაიშვილმა და ტონიამ ანგარიში 7:1-მდე აიყვანეს, რასაც ნ. და ო. ნიკურაძეებმა თითო ბურთით უპასუხეს — 7:3. დარჩენილ დროში ბათუმელებმა კიდევ ოთხი ბურთი გაიტანეს და მოიპოვეს მეორე გამარჯვება — 11:3.

• • •

მეორე ჯგუფში დაუმარცხებლად მიდიან ფიზკულტურის ინსტიტუტის ხელბურთელები, რომლებმაც ამ დღეს სძლიეს აფხაზეთის კოლექტივს. სტუმრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ძლიერად თამაშობდნენ დაცვაში. ამაზე ნათლად მეტყველებს პირველი ნახევრის ანგარიშიც — 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ნახევრის დასაწყისში სტუმრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა კვეკვესკირმა ანგარიში გაათანაბრა. თბილისელებმა, რომლებიც თავიანთ შესაძლებლობაზე დაბლა თამაშობდნენ პირველ ნახევარში 30-ზე მეტი გადაცემა დაკარგეს. მაგრამ ანგარიშის გათანაბრების შემდეგ მათ თანდათან ხელთ იგდეს ინიციატივა და მოწინააღმდეგენი აიძულეს ხუთჯერ დაეწყოთ თამაში ცენტრიდან.

შეხვედრა დამთავრდა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის გამარჯვებით — 7:3.

ფ. ლეონიძე,
ო. გელაშვილი.



III სპორტული თამაშების პლაკატები — „ხელბურთი“ და „წყალში ხტომა“.

15 წლის იერიშის შემდეგ

უკანასკნელ წლებში მძლეოსნებმა არა ერთი და ორი მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესეს. ბევრმა მათგანმა საკმაოდ მაღალი საერთაშორისო კლასის შედეგი აჩვენა ასე მაგალითად, ერთ მილზე (1609,35 მეტრი) რბენაში თერთმეტმა მორბენალმა აჩვენა 4 წუთზე უკეთესი შედეგი. 5.000 მეტრზე რბენაში 14 მძლეოსანი გამოვიდა 14 წუთადან, შუბის ტყორცნაში 14-მა სპორტსმენმა გადალახა 80-მეტრიანი და უროს ტყორცნაში 28 მძლეოსანმა 60-მეტრიანი ზღვარი. მაგრამ ორი რეკორდი ვაჟთა ცხრილში ვერ იქნა და ვერ გაუმჯობესდა. ერთი მათგანია სიგრძეზე ხტომა (8 მ 13 სმ ჯ. ოუენსი, 1935 წლის 25 მაისი) და მეორე იყო ჭოკით ხტომა (4 მ 77 სმ კ. უორმერდამი, 1942 წლის 23 მაისი).

კორნელიუს უორმერდამმა თავისი შედეგით უდავოდ გაუსწრო დროს. შესანიშნავი იყო მისი ტექნიკა, რომელიც დღესაც სამაგალითოა მძლეოსნებისათვის. ერთ ერთ უკანასკნელ შეჯიბრებაში უორმერდამმა დაძლია 4 მეტრი და 79-სანტიმეტრიანი სიმაღლე. მაგრამ ეს შედეგი არ იქნა ფიქსირებული მსოფლიო რეკორდად, რადგან იგი ნაჩვენები იქნა დახურულ შენობაში. ეს იყო 1943 წელს. მას შემდეგ უორმერდამის [illegible] ბევრი იერიში მიიტანეს რეკორდზე, მაგრამ ამაოდ. შესანიშნავმა მძლეოსანმა ე. წ. „მფრინავმა პასტორმა“ — ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა ბობ რიჩარდსმა ასზე უფრო მეტჯერ დასძლია 4,50-მეტრიანი სიმაღლე. მისი საუკეთესო შედეგი 4,70 მ ნაჩვენები იყო ღია ცის ქვეშ, ხოლო 4,72 მ დახურულ შენობაში. არაერთგზის მიჰქონდა იერიში ამ რეკორდზე მეორე გამოჩენილ ჭოკით მხტომელს ამერიკელ ბობ გუტოვსკის, რომელსაც მიმდინარე წლის 25 აპრილს 22 წელი შეუსრულდა. გუტოვსკის საუკეთესო შედეგი ჰქონდა ღია ცისქვეშ — 4,66 მ, ხოლო დახურულ შენობაში — 4,70 მ. როგორც ცნობილია, მისი ცდა ამას წინათ წარმატებით დამთავრდა. გუტოვსკიმ 1 სანტიმეტრით გააუმჯობესა უორმერდამის მსოფლიო რეკორდი.

ევროპის მხტომელთა შორის გასულ წელს საუკეთესო შედეგი ჰქონდა ფინელ ლანდსტრემს — 4,51 მ.

[illegible]

ლასლო პაპი

★

დიულა ნემეტი

★

ამას წინათ უნგრეთის კინოთეატრებში უჩვენებდნენ მოკლემეტრაჟიან სპორტულ ფილმს — „მესამე ოქროს მედალი“, რომლის მთავარი მოქმედი პირი ლასლო პაპია. კინოდარბაზები გაჭედილი იყო მრავალრიცხოვანი მაყურებლით. ბევრს სურდა ენახა ეპიზოდები ოლიმპიადისათვის თუ როგორ ემზადებოდა საქვეყნოდ ცნობილი მოკრივე ლასლო პაპი, როგორ იბრძოდა ის წინა ორ ოლიმპიურ თამაშებში და სხვ. ეს დიდი ინტერესი იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ ახლა ხალხი ემშვიდობება ლასლო პაპს, როგორც მოკრივე-მოყვარულს.

12-წლიანი ბრწყინვალე კარიერის შემდეგ ლასლო პაპი გადადის პროფესიონალთა რიგებში. ახლა უნგრელ ხალხს ნაკლები იმედი აქვს თავის სამშობლოში იხილოს თავისი საყვარელი მოკრივის გამოსვლები.

უკვე ათი წელი გავიდა რაც უნგრეთის რინგზე უნგრელ მოკრივეს არ დაუმარცხებია ლასლო პაპი. ამ ხნის განმავლობაში უცხო ქვეყნის სპორტსმენებიდან მხოლოდ სამს ერგო ბედნიერება — დაემარცხებინა იგი.

ლასლო პაპის ტრიუმფალურ გამარჯვებათა გზის მოკლედ აღწერა არც თუ ისე ადვილი საქმეა. პაპმა ორჯერ მოიპოვა ევროპის პირველობა, სამჯერ იყო საერთაშორისო სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი, ოლიმპიური მედლები მოიპოვა ლონდონში, ჰელსინკსა და მელბურნში! ორმოცდაათჯერ შედიოდა უნგრეთის ნაკრებში და ყოველთვის გამარჯვებული ტოვებდა რინგს. შვიდჯერ იყო უნგრეთის ჩემპიონი, თავისი შეხვედრების 75 პროცენტი ნოკაუტით აქვს მოგებული.

პაპი ახალგაზრდა მოკრივე როდია. მელბურნში 30 წლისამ ჩაიწერა გამარჯვება. ჩვენ გვჯეროდა მისი, მაგრამ ოლიმპიადაზე გამარჯვების იმედს მხოლოდ გულში ვინახავდით. პაპმა უკანასკნელ წლებში საკმაოდ ბევრი რამ განიცადა. მისი მწვრთნელი, გამოცდილი ჟიგმონდ ადლერი გადაყენებული იქნა უნგრეთის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან და ევროპის პირველობაზე ვარშავაში პაპს ადლერი თან არ ახლდა, ხოლო 1955 წელს ბერლინში გამართულ ევროპის პირველობაზე პაპს მონაწილეობა არ მიუღია. მელბურნში მას უკვე თან ახლდა ადლერი. პაპს კვლავ დაუბრუნდა გამარჯვების რწმენა. ამიტომ იყო, რომ ოლიმპიურ რინგზე დამარცხება აგემა ისეთ ძლიერ მოკრივეებს, როგორიცაა პოლონელი პეტშიკოვსკი და ამერიკელი ტორეზი.

ოლიმპიადის წინ პაპი სისტემატურად, დღეში ორჯერ ვარჯიშობდა. დილაადრიან მონდომებით დარბოდა საბადშაგის მთის ფერდობებზე, მკვეთრი მოქნევებით აპობდა შეშას, ავითარებდა მუსკულატურას, ხელის მტევნებს, იკრებდა ფიზიკურ ძალას. საღამოთი კი დარბაზში თავისი მწვრთნელის ადლერის ხელმძღვანელობით ძირითადად ატარებდა ტექნიკურ წვრთნას ყოველგვარი შესვენებების გარეშე. ლასლოს ოფლი წურწურით ჩამოდიოდა არა მარტო შუბლიდან, არამედ მაისურიც კი გასაწური ჰქონდა. ყველანი გაოცებული იყვნენ წვრთნის ასეთი ხასიათით, მაგრამ სჯეროდათ, რომ ასეთი შეუპოვარი ვარჯიში კარგ შედეგს მოუტანდა პაპს და მის მწვრთნელს.

ბრწყინვალე გამარჯვებებით არასოდეს არ გაამაყებულა პაპი. მისი მუდმივი დამახასიათებელი თვისება თავდაბლობა იყო. პაპს ასე ეჭირა თავი მელბურნშიც. ავსტრალიაში პაპსა და მის მწვრთნელს ბრწყინვალე კონტრაქტი და უამრავი დოლარი შესთავაზეს, მაგრამ მათ უარყვეს ყოველივე ეს, არ დარჩნენ უცხოეთში და ჩვენდა საბედნიეროდ სამშობლოში დაბრუნდნენ.

ახლა ისინი კვლავ ემზადებიან გასამგზავრებლად. უნგრეთის ხელისუფლებამ ლასლო პაპს პროფესიონალ მოკრივეთა რიგებში გადასვლის ნება დართო. ამჟამად პაპი გულმოდგინედ ემზადება შეხვედრებისათვის. მისი ყოფილი უნგრელი მოწინააღმდეგენი ახლა სიამოვნებით ეხმარებიან მას, მასთან ერთად ატარებენ საწვრთნელ ვარჯიშებს. რასაკვირველია, ყველას როდი აქვს ამის სურვილი. მართლაც, ვის სურს ძლიერი დარტყმები იგემოს? მაგრამ მეგობრები თანაგრძნობის ხელს უწვდიან მას. ერთხელ, საღამოთი, ადლერის ბინაში ტელეფონმა დარეკა.

— ადლერი გისმენთ!

— საღამო მშვიდობისა, ძია ჟიგა, ბრეზნაი გელაპარაკებათ, ალბათ მიცნობთ...

— ვერა.

— ოდესღაც მეც მასწავლიდით. მაგრამ ეს მთავარი როდია. მთავარია ის, რომ მე ყოველთვის „ამტან“ მოკრივედ ვითვლებოდი. ახლაც კარგად ვიტან დარტყმებს.

— ამით რა გინდათ თქვათ?

— ის, რომ მინდოდა მეც მიმეღო მონაწილეობა ლასლო პაპის მომზადებაში.

— რით?

— შემეძლო მისი პარტნიორობა გამეწია ვარჯიშის დროს.

— ო, ძალიან კარგს იზამთ. თუ შეგიძლიათ ხვალ საღამოთი გამოიარეთ სპორტის სასახლეში. ჩვენ იქ ვიქნებით.

მეორე დღეს ბრეზნაი მართლაც მივიდა.

ჩვენ გვიყვარს პაპი. ამიტომაა ასეთი გულისწუხილით რომ ვფიქრობთ პროფესიონალთა შორის მის გამოსვლაზე. რა ბედი ეწევა მას, ხომ არ ჩაითრევს მას პროფესიონალთა მორევი? ხომ არ გახდება ფულის მოყვარულ მეცენატთა მსხვერპლი? მიაღწევს თუ არა ისეთ დიდებას პროფესიონალთა შორის, როგორიც მან 12 წლის მანძილზე მოიპოვა მოყვარულთა შორის? პროფესიონალ მოკრივეთა შორის გამოსვლები აგრძნობინებენ თუ არა ისეთ მორალურ კმაყოფილებას, როგორიც მას სამმა ოქროს მედალმა განაცდევინა?

როგორი ბედიც არ უნდა ეწიოს მას, ჩვენ მუდამ ვიამაყებთ ლასლო პაპით, დაველოდებით მის სამშობლოში დაბრუნებას.

„სტენლის“ თასი გათამაშდა

როგორც ცნობილია, ჰოკეისტთა მსოფლიო პირველობის გათამაშებაში არ მონაწილეობენ პროფესიონალთა გუნდები. მათ აქვთ თავიანთი ჩემპიონატი, რომელსაც სხვაგვარად „სტენლის“ თასის გათამაშება ეწოდება. ამას წინათ კანადის ერთ-ერთ ქალაქ მონრეალში მოეწყო შეჯიბრება ამ თასზე.

ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს კანადის გუნდმა „მონრეალმა“ და ამერიკის შეერთებული შტატების კლუბმა „ბოსტონ ბრუინსმა“. მანამდე ამ გუნდებმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს ყველა მოწინააღმდეგე. ფინალურ მატჩს დაესწრო მრავალი სპორტის მოყვარული. შეხვედრა აღინიშნა „მონრეალის“ გუნდის უპირატესობით, რომელმაც მოწინააღმდეგის კარში გაიტანა ხუ
თი შაიბა, ხოლო თავისაში მიი
ერთი. „სტენლის“ საპატიო თასი
მასთან მსოფლიო ჩემპიონის წოდ
ბა პროფესიონალთა შორის მეორ
ჯერ მოიპოვა „მონრეალის“ გუნდმ

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14.
უე 02228